



სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული განათლების ცენტრი

ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

(2018- 2024 წწ)

განხილული და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი N11; 29.01.2018

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი:

ირმა შიოშვილი

ქ. თელავი

2018 წელი

შესავალი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყალთოს აკადემიის, თელავის საფილოსოფოსო-სადღთისმეტყველო სასწავლებლის (დამაარსებელი ერეკლე II), სასულიერო სემინარიის, სასულიერო სასწავლებლის მრავალ საუკუნოვანი საგანმანათლებლო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია. 1924 წელს თელავში 3 ედაგოგიური ტექნიკუმი დაარსდა, რომელიც 1939 წლიდან უმაღლეს სამასწავლებლო, 1951 წლიდან კი პედაგოგიური ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. 1940 წლიდან სასწავლებელი დიდი ქართველი პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის სახელს, 1999 წლიდან კი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსს ატარებს. ის ავტონომიური სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია და სწავლება სახელმწიფო ქართულენაზე მიმდინარეობს. განათლების მიღება უნივერსიტეტში განახლებული პროგრამებით, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე შესაძლებელია. სასწავლებელი პროფესიული განათლების პროგრამებსაც ახორციელებს.

უნივერსიტეტის მისია :

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურსა და პროფესიულ სწავლებაში თანამედროვე მეთოდებზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების დანერგვით, აკადემიური, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა: ქვეყნის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება სხვა და სხვა მიმართულებით; რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცოდნის შექმნა, დაგროვება და გაზიარება აგრარული მეცნიერებების მიმართულებით, რეგიონის განვითარებისათვის ტურიზმის მიმართულების გაძლიერება და განათლების მიმართულების განვითარების ხელშეწყობა. საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება; მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობი ღონისძიებების ორგანიზება და განათლების ინტერნაციონალიზაცია.

უნივერსიტეტი თავის მისიას ახორციელებს:

- პროფესიული განათლების მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის მოდულური პროგრამებით;
- განვითარებული, პროფესიულ სტუდენტზე მორგებული სასწავლო დასოციალური ინფრასტრუქტურით, ეფექტურისაფინანსო და ადამიანური რესურსების მენეჯმენტით;
- ხარისხიანი, ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული ცოდნითა და უნარებით, რომლის შედეგია წარმატებით დასაქმებადი კურსდამთავრებული.

უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ადამიანური რესურსი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი (შემდგომში ცენტრი) დაარსდა 2016 წელს (აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება: ოქმი N6 30.11.2016 და წარმომადგენლობით საბჭოს გადაწყვეტილება: ოქმი N9 16.12.2016). პროფესიული განათლების ცენტრი წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს; ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს “ პროფესიული განათლების შესახებ“ კანონით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და უნივერსიტეტის წესდებით და ცენტრის დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით. ცენტრს ყავს ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და მდივანი.

ცენტრში მომზადებულ და მოქმედ ავტორიზებულ(აკრედიტებულ) პროფესიულ საგნობრივ და მოდულურ პროგრამებს ემსახურება კვალიფიციურ პერსონალი, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება 30 -მდე.

აუდიტორიები აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი თანამედროვე ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით, რომელიც შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს.

პროფესიული განათლების ძირითადი სტრატეგიული მიზნები

ძირითადი სტრატეგიული მიზნებია:

- 1) ახალი პროფესიული მოდულური და დუალური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება და არსებული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
- 2) პროფესიულ სტუდენტზე მორგებული სასწავლო დასოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- 3) პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორობის განვითარება;

მიზანი. 1

ახალი პროფესიული მოდულური და დუალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და არსებული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

ამოცანები:

- ✓ არსებული პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად განვითარება;
- ✓ საგანმანათლებლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესება უწყვეტი ციკლის საფუძველზე: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, განვითარება.
- ✓ სწავლისა და სწავლების, პრაქტიკის ხარისხის ამაღლება;
- ✓ განათლების სფეროში საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ცვლილებების მიმართ ადეკვატური რეაგირება.

განხორციელების გზები:

#	განხორციელების გზები	2018	2019	2020	2021	2022	2023
1	პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის შიდა მონიტორინგი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება-ასახვა პროგრამებში	X	X	X	X	X	X

2	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა	X	X	X	X	X	X
3	შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო ფართების (A, B და C გარემო) და ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება		X	X		X	X
4	ტრენინგებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზება პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და საზოგადოების წარმომადგენლებისათვის მიზნებისა და ეკონომიკის განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით			X	X	X	X
5	ახალი პროგრამების შექმნა სტანდარტებზე მორგებით პოტენციურ სტუდენტთა წრის გაფართოების მიზნით, ადაპტირებული პროგრამები სტუდენტებისათვის	X		X		X	
6	სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებისა და სტანდარტების დანერგვა პროფესიული მოდულური და დუალური პროგრამებისგანხორციელებაში		X	X			X
7	სტუდენტებისათვის კულტურული, სპორტული, გასართობი, დასაქმებისათვის ხელშემწყობი(სტუდენტების ნამუშევართა გამოფენა-	X	X	X	X	X	X

	გაყიდვები) და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებათა ორგანიზება, მათში სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით, როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ						
8	პროფესიულ სტუდენტთა სოციალური დაცვის მექანიზმების ამოქმედება, კვების ბლოკის მოწყობის, აღჭურვის და სრულად ამოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება		X	X			
9	ყოველწლიურად მინიმუმ ერთი სტუდენტისა და ერთი პერსონალის გაგზავნა ფრანკფურტის(გერმანია) ინტეგრაციულ სკოლაში პრაქტიკის ფარგლებში ინკლუზიური განათლების კომპონენტის გასავლელად და მოწინავე გამოცდილების გასაზიარებლად	X	X	X	X		
10	კურსდამთავრებულთა გამოკითხვა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენის მიზნით	X	X	X	X	X	X
11	სტუდენტთა თვითშეფასების პრაქტიკის დანერგვა		X				
12	დაწესებულების პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ კვლევების ჩატარების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების გავლის უზრუნველყოფი დამატებითი ბაზების მოძიება და განვითარება	X	X	X	X	X	X

13	ინვესტიციების მოზიდვა ცენტრის პროგრამებისათვის მასში პრაქტიკის კომპონენტისა და გაცვლითი პროგრამების განვითარების მიზნით		X	X	X	X	X
14	თანამშრომელთა შერჩევის სისტემის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს კანდიდატთა ცოდნისა და გამოცდილების სწორად შეფასებას	X	X				
15	პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის საჭირო ღონისძიებების გატარება	X	X	X	X	X	X
16	პერსონალის შრომითი მიღწევების ხელშეწყობა, აღიარება და დაფასება	X	X	X	X	X	X
17	პერსონალისათვის მოსახერხებელი, უსაფრთხო და სასიამოვნო სამუშაო გარემოს სისტემატური გაუმჯობესება	X	X	X	X	X	X
18	პერსონალის ჩართვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში, რათა მათ თავი იგრძნონ მნიშვნელოვან და ორგანულ ნაწილად და აიღონ პასუხისმგებლობა მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებაზე				X	X	X
19	საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიული განათლების მართვაში, ცოდნის შეფასების და სტუდენტთა მენეჯმენტის ელექტრონული სისტემის დანერგვა(ინტეგრირება უნივერსიტეტის სტუდენტთა ელექტრონული მართვის		X	X			

ბაზაში), რაც გაზრდის ეფექტური მართვისა და მუშაობის გამჭვირვალობის ხარისხს							
---	--	--	--	--	--	--	--

მიზანი 2.

პროფესიულ სტუდენტზე მორგებული სასწავლოდასოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ამოცანები:

- ✓ ცენტრის (უნივერსიტეტის) ბაზაზე არსებული მატერიალურ- ტექნიკური ბაზის სისტემატური მოვლა და განვითარება
- ✓ საბიბლიოთეკო მომსახურებისა და რესურსების განვითარება

#	განხორციელების გზები	2018	2019	2020	2021	2022	2023
1	ცენტრის (უნივერსიტეტის) ბაზაზე არსებული მატერიალურ- ტექნიკური ბაზის სისტემატური განახლება და დაცვა	X	X	X	X	X	X
2	ბიბლიოთეკის ფონდის სისტემატური მონიტორინგი და განახლება და შევსება ბეჭდური და ელექტრონული რესურსით და მომსახურების უახლესის სერვისით აღჭურვა	X	X	X	X	X	X
3	სასწავლო და საპრაქტიკო ოთახების (A, B და C გარემოს) განახლება				X	X	
4	უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრების გადაიარაღება თანამედროვე სტანდარტების კომპიუტერული ტექნიკით		X	X	X		
5	სტუდენტების წახალისება კურიკულუმის გარეშე აქტივობების შესასრულებლად	X	X	X	X	X	X

6	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს (კორპუსებთან მისასვლელი პანდუსები, ადაპტირებული მერხებისა და ტუალეტები) მოწყობა	X	X	X	X		
7	სასაუზმის რეაბილიტაცია და განვითარება	X	X	X			

მიზანი 3.

ცენტრის პოპულარიზაცია და პარტნიორობის განვითარება

ამოცანები

- ✓ უნივერსიტეტის მარკეტინგისა და რებრენდინგის სამუშაო სტრატეგიის ჩამოყალიბება და განვითარება
- ✓ უნივერსიტეტთან ერთად და დამოუკიდებლად, სხვადასხვა სახის აქტივობების ორგანიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ
- ✓ უნივერსიტეტის უახლოესი მიმდევრებისა და შედეგების გაცნობასა და აზროვნებისათვის თვისპრესის, ტელევიზიისა და სოციალური ქსელების საშუალებით
- ✓ თანამშრომლობის გაღრმავება პროფესიულ ასოციაციებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან

#	განხორციელების გზები	2018	2019	2020	2021	2022	2023
1	სხვადასხვა სახის აქტივობების (გამოფენები, გაცვლითი პროგრამები, მოწინავე გამოცდილების გაზიარება, საჩვენებელი აქტივობები) ორგანიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ	X	X	X	X	X	X
2	დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ამსახველი გზამკვლელების, ბუკლეტებისა და ლიფლეტების შექმნა	X	X	X	X	X	X
3	უნივერსიტეტის ორენოვანი ვებ-გვერდის დახვეწა- განვითარება	X	X	X	X	X	X
4	უნივერსიტეტის ფართო საზოგადოებაზე, განსაკუთრებით პოტენციურ	X	X	X	X	X	X

	დამსაქმებლებზე ორიენტირებული ღონისძიებების ორგანიზება						
5	შეხვედრები პროგრამების კურსდამთავრებულ, საზოგადოებისათვის ცნობადსახეებთან	X	X	X	X	X	X
6	სხვადასხვა სახის შეხვედრების ორგანიზება და ინტერესებულ მხარეებთან	X	X	X	X	X	X
7	ურთიერთობების ჩამოყალიბება და გაღრმავება პროფესიულ დაწესებულებებთან და უნივერსიტეტებთან		X	X	X	X	
8	თანამშრომლობის ფორმების გამოძებნა ანალოგიური პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან		X	X	X	X	